საქართველოს მთავრობა

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს კონსტიტუციის 66-ე მუხლისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 38-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად, დოკუმენტს „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2020-2023 წლებისათვის“ და საქართველოს მთავრობის მოხსენებას „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“.

„საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, დოკუმენტზე „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2020-2023 წლებისათვის“ და საქართველოს მთავრობის მოხსენებაზე „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მომხსენებლად დანიშნულია საქართველოს ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი, ხოლო საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო სხდომებზე მომხსენებლებად დანიშნულნი არიან საქართველოს ფინანსთა

№ 07-2/399
"30" 09 2019

მინისტრის მოადგილეები: გიორგი კაკაურიძე, ცოტნე ყავლაშვილი და ნიკოლოზ გაგუა.

ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ძ[4]“ ქვეპუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 198-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ თავდაცვის ძალების რაოდენობას.

აღნიშნულ საკითხზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად დანიშნულია საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე რატი ბრეგაძე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**

N 38369
30.09.2019